მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №13 2011 წ. 1-15 დეკემბერი ფასი 50 თეთრი


# ახალი საავადმყოფოს გახსნა

10 დეკემბერს ქ.საგარეჯოში, საქართველოს პრეზიდენტმა ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში, სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი“ ჰოლდინგის მიერ აშენებული ახალი სამედიცინო ცენტრი გახსნა. გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე, კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა გულიკაშვილი,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი, საკრებულოს თავჯდომარე ილია ჭიაურელი და ადგილობრივი ხელიუფლების სხვა წარმომადგენლები. საავადმყოფო თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი, მასში შესაძლებელია როგორც ჰოსპიტალური, ასევე ამბულატორიული პროცედურების გავლა. საავადმყოფო 25 საწოლიანია და იქ მისულ მოსახლეობას მაღვალკვალიფიციური მედპერსონალი მოემსახურება.

*მაკა ჭურხული,*
*მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური*

## ქალაქის ინფრასტრუქტურა

*მესამე გვერდი*

## ქალაქის დამისამართება

*მეორე გვერდი*

## სპორტი

*მერვე გვერდი*

## ინტერაქტიული მეცადინეობა

*მეოთხე გვერდი*

## იუბილე _ 55 თოჯინების თეატრი

*მეშვიდე გვერდი*

## კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩაბარდა აქცია

12 დეკემბერს, ქ.საგარეჯოს ახალგაზრდულ ცენტრში და სოფ. იორმუღალნოს ამბულატორიაში, დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ეროვნული სკრინინგ ცენტრისა და ალიანსი ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის ორგანიზებით გაიმართა აქცია კიბოს სკრინინგის, თამბაქოს პრევენციის,ფიზიკური აქტივობის,ზოგადი ჰიგიენისა და ჯანსაღი კვების სახელმწოფო პროგრამის ფარგლებში–პროექტის პრეზენტაცია.

წარმომადგენლებმა მოსახლეობას მიაწოდეს ინფორმაცია აღნიშნული პროგრამების შესახებ,პროგრამებში მათ ჩართულობის გაზრდის მიზნით, დარიგდა საინფორმაციო მასალა,რომელიც ნათარგმნია სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე,ასევე მოხდა ამ პროგრამების პრეზენტაცია და კიბოს პათოლოგიების მულაჟის დემონსტრირება.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

# მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირის დღიური

**6 დეკემბერი, 2011 წელი**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი, მოადგილეები: გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილი და შალვა ჯაბადარი, გამგეობის სამსახურის უფროსები, პრესსამსახური, ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულები, მოწვეული პირები ესწრებოდნენ. თათბირი მიჰყავდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს გია ჩალათაშვილს. ბ-ნმა გიამ თათბირის მონაწილეებს საგარეჯოში ახლადგახსნილი სამედიცინო კლინიკის „LIFE“-ის („სიცოცხლე“) მენეჯერი ქალბატონი ნესტან ურდულაშვილი და მათი პარტნიორი ქ-ნი ელისო დევდარიანი წარუდგინა. კლინიკის ხელმძღვანელთა ინფორმაციით, საგარეჯოში, ჭავჭავაძის ქ №3-ში გაიხსნა ზემოთხსენებული კლინიკა, რომელიც მაღალკვალიფიციურ მომსახურებას ჰპირდება არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, არამედ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს. კლინიკის მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა თერაპიის, კარდიოლოგიის, ნევროპათოლოგიის, ენდოკრინოლოგიის, პედიატრიის, გინეკოლოგიის, ლაბორატორიული დიაგნოსტიკის, ექოსკოპიური დიაგნოსტიკისა და სამშობიარო ხაზით უკვე მიიღეს პირველი პაციენტები. კლინიკა „LIFE“-ის წარმომადგენლებმა ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებს გადასცეს თითო ვაუჩერი სამედიცინო კლინიკა „LIFE“-ის სამშობიარო სახლში ვაუჩერის შემდგომი მფლობელისათვის შედავათიანი ფასდაკლებით მომსახურებისათვის.

თათბირზე განსაკუთრებული სიმწვავით იქნა დაყენებული კითხვები სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტიოს კახეთის სამსახურის სტყეო სამმართველოს მომსახურების განყოფილების კოორდინატორის საგარეჯოში ბ-ნ კობა შათირიშვილის წინაშე, კერძოდ, ტყეკაფიდან და ტყიდან შეშის, ე.წ. ხმელი ნაყარის გამოტანასთან დაკავშირებულ სირთულეებზე. დასმულ შეკითხვებს შეძლებისდაგვარად უპასუხა ბ-ნმა კობამ და აქვე განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ საჩუქრად მოსახლეობისათვის გაცემული შეშის ვაუჩერის მოქმედების ვადა იწურება და მისი წარდგენა 13 დეკემბრამდეა შესაძლებელი.

ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებმა გააკეთეს ზეპირი ინფორმაცია სოფელში მიმდინარე სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შესახებ.

თათბირზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ბ-ნმა გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა თათბირის მონაწილეებს გააცნო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია – შვეიცარიის არასამთავრობო ორგანიზაცია „HEKS EPER“ საქართველოში მეცხოველეობის განვითარების პროექტის განხორციელებას გეგმავს. ეს პროექტი ამჯერად პირველ ნაბიჯებს კახეთის სამ მუნიციპალიტეტში, მათგან შერჩეულ სოფლებში დაიწყებს. შერჩეულია სიღნაღის – 5, დედოფლისწყაროს – 5 და საგარეჯოს 10 სოფელი. ესენია: იორმუღანლო, პატარძეული, ნინოწმინდა, თოხლიაური, მანავი, ბადიაჯრი, კაკაბეთი, ხაშმი, ჩაილური, გიორგიწმინდა. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აღნიშნული სოფლების მოსახლეობას შეხვდებიან, გამოიკითხავენ მათ აზრს და თავად შეთანხმდებიან რომელ სოფელში რამდენი ძროხის შეყვანა იქნება საჭირო, რა დახმარებას მოითხოვს ფერმერი – მას მეცხოველეობის განვითარებისთვის მსხვილფეხას შეყვანა სჭირდება თუ უკვე არსებული ფერმისათვის ვეტერინარული დახმარება, ან რძის გადამამუშავებელი აპარატურა, იქნებ მსხვილფეხას საკვები ბაზისათვის საჭირო ტექნიკის შემოტანაც. როგორც აღვნიშნეთ, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიერ შედგენილი გრაფიკით ისინი ათივე სოფლის მოსახლეობას ადგილზე შეხვდებიან და მოისმენენ მათ აზრს.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიაში ველით მოქალაქეთა წინადადებებს

# მიმდინარეობს ქალაქის ხელახალი დამისამართება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეა ვაჟა ბაზერაშვილი, რომელიც მანავის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატია. დღეს ბ-ნი ვაჟა კომისიის შემადგენლობის იმ საქმიანობაზე გვესაუბრება, რომელსაც ისინი ქალაქის დამისამართებისათვის ეწევიან. მოგეხსენებათ, დღის წესრიგში მთელს ქვეყანაში სწორედ ქალაქების და შემდგომ ეტაპზე – სოფლების დამისამართება დგას. თუმცა, არც ის საკითხებია მეორეხარისხოვანი, რა საკითხებზედაც კომისია მუშაობს. კომისიის შემადგენლობა კი ასეთია: ვაჟა ბაზერაშვილი – კომისიის თავმჯდომარე, წევრები: ივანე გრძელაშვილი, ზაზა ჭიაბერაშვილი, შოთა ხუნაშვილი, კახაბერ ლაფერიშვილი. კომისიის წინაშეა ის საკითხები, რომლებიც ეხება თვითმმართველი ერთეულის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებს, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრას, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (ისტორიულ-რელიგიურ, გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და სხვა სპეციალური ზონების) დაყოფას, მათი საზღვრების დადგენასა და შეცვლას, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების დამტკიცებას, თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის, გაუქმების, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, ადგილობრივი გზების შენახვისა და განვითარების პროგრამების და გეგმების პროექტებს და კიდევ სხვადასხვა საკითხებს კომისიის სამუშაო ჯგუფები განიხილავს და შემდეგ ჯერ კომისიას წარუდგენს მის მიერ მომზადებულ საკითხს, ხოლო კომისია განხილვის შემდეგ უკვე საკრებულოს წარუდგენს წინადადებებსა და შესაბამის დასკვნებს.

**ვაჟა ბაზერაშვილი:** – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ სერიოზული მუშაობა დაიწყო ქალაქებისა და შემდგომ კი სოფლების ახლიდან დამისამართებისათვის. მოგეხსენებათ, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებით შეინიშნება ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინებისა თუ კერძო სექტორისათვის ახალმშენებლობები. მიმდინარეობს შენობა-ნაგებობების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. გაიზარდა სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების რიცხვი, რამაც უბნების, ცალკეული დასახლებების გაზრდა გამოიწვია. ამიტომ აუცილებელი ხდება ახალი დამისამართება. როცა ვამბობთ დამისამართება, ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის ქუჩებისათვის ახალი სახელების მინიჭება, მაგრამ რახან გაიზარდა მოსახლეობა, შესაბამისად გაიზარდა ქუჩები, შესახვევები, ჩიხები და ზოგიერთ შემთხვევაში შესახვევის მოსახლეობა, ზოგჯერ ქუჩების მოსახლეობასაც უტოლდება, აქ აუცილებელი ხდება შესახვევს ქუჩის სახელწოდება მივანიჭოთ და არა, რომელიმე ქუჩის რომელიმე შესახვევი. ჩვენს კომისიას აკითხავს უამრავი მოქალაქე, რომელთაც სახლის დარეგისტრირებისათვის ესაჭიროებათ მისამართი, სახლის ზუსტი ნუმერაცია. ამიტომ ჩვენ ქალაქ საგარეჯოს რამდენიმე ქუჩა გადავამოწმეთ და ახლიდან გავუკეთეთ დამისამართება. მაგალითად, დღესდღეობით განხორციელდა ექვსი ქუჩის დამისამართება. ასე, მაგალითად, ჯაფარიძის ქუჩის, რომელიც ერთ-ერთი დიდი ქუჩაა, ერთ ნაწილს (რომელზედაც სასამართლოს, საჯარო რეესტრის, სამოქალაქო რეესტრის, საგადასახადო ინსპექციის სამსახურებია განთავსებული) ფიროსმანის სახელი მივანიჭეთ. ერთ-ერთ განშტოებას მსახიობ სოფიკო ჭიაურელის სახელი, მაგრამ ერთ-ერთ ქუჩას (იგულისხმება ის ქუჩა, რომელზედაც დღევანდელი „საგარეჯო-გაზის“ დირექციის შენობაა) ვერ შევურჩიეთ სახელი. ასევე, სახელი არა აქვს რუსთაველის ერთ-ერთ ქუჩას, რომელიც მდებარეობს რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ე.წ. რკინიგზელთა სახლის მოპირდაპირე მხარეს (აღნიშნული ქუჩა რუსთაველის ქუჩის მარჯვენა მხარესაა და შემდეგ უერთდება კახეთის ქუჩას – საბავშვო ბაღთან). ამ შემთხვევაში ჩვენ ვთხოვთ მოსახლეობას, აქტიურად ჩაერთონ საგარეჯოს ქუჩების სახელწოდების მინიჭებისათვის, მოგვაწოდონ წინადადებები, გაიხსენონ და დაასახელონ პიროვნებები, რომელთაც საგარეჯოსთვის, რაიონისთვის სიკეთე გაუკეთებიათ, თავიანთი მოღვაწეობითა და ცხოვრების წესით შორს გაუტანიათ ჩვენი რაიონის სახელი. დამისამართდა რუსთაველის მთლიანი ქუჩა, ალაზნის, მიხეილ ქვლივიძის, მამისაშვილსა და წიფლისხევის ქუჩები. ამ მიმართებით ჩვენი კომისიის წევრებმა მართლაც შრომატევადი საქმე ჩავატარეთ – ტექბიუროდან ავიღეთ მონაცემები და გადამოწმების მიზნით ადგილზე გავედით – ნუმერაციის მისანიჭებლად. მინდა გითხრათ, რომ წინა დამისამართების შემდეგ მართლაც დიდი დრო იყო გასული და უამრავი სახლი იყო ნუმერაციამისანიჭებელი – ზოგიერთი სახლი საერთოდ არ იყო რეგისტრირებული, ამის გამო დაგვჭირდა მეზობლების გამოკითხვა და მათგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შევძელით მოქალაქის საცხოვრებელი სახლისთვის ნუმერაციის მინიჭება.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჩვენი კომისიის წევრების სახელით მინდა თხოვნით კიდევ ერთხელ მივმართო ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას – ქალაქისასაც და სოფლებისასაც – აქტიურად გამოეხმაურონ ჩვენს თხოვნას და მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები, ვისი სახელი მივანიჭოთ ქუჩებს, რომლებისთვისაც სახელები გვაქვს მისანიჭებელი.

*ჩაიწერა: თინა ილაურმა*

ქალაქის ინფრასტრუქტურა

# ჩქარობენ მშენებლები

ქშვენდება და ლამაზდება ქალაქი საგარეჯო. ათეული წლების განმავლობაში ასფალტშემორჩენილი ქუჩები, რომლებზედაც ავტომანქანით კი არა, ფეხითმოსიარულეებსაც ეზარებოდათ გავლა, ახლა სხვაგვარად გამოიყურება – მოასფალტდა ქუჩები, ქუჩიდან საცხოვრებელი სახლის მისასვლელებიც მოწესრიგდა – მოასფალტდა გადასასვლელები, რკინის მოაჯირებით გამოიყო ცენტრალური ქუჩებისა და ქვეითადმოსიარულეთა ბილიკები, ამოშენდა ადგილ-ადგილ ამოთხრილი კუვეიტები – წყალსაწრეტი არხები. სწორედ ამ საკითხებზე გვესაუბრება დღეს *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი* **დავით ხატიაშ-**

**ვილი:**

– მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან, მართალია, ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ყურადღება სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-სარეაბილიტაციო სამუშაოებისკენ იყო მიმართული, მაგრამ არც ჩვენი ქალაქისა და ტერიტორიული ერთეულების ინფრასტრუქტურის სხვა დანარჩენ ობიექტებს მოჰკლებია ყურადღება. დავიწყოთ იქიდან, რომ ქ. საგარეჯოს წყლის სათავე–ნაგებობის მიმდებარე ტერიტორია მდინარე „თვალთხევზე“ გაზაფხულის, ივნისისა და შემდგომი პერიოდების წყალდიდობით დაზიანებული იყო იმდენად, რომ ახალ საშიშროებას უქმნიდა იქ არსებულ ინფრასტრუქტურას. ამიტომ აუცილებელი გახდა იქ მდინარე „თვალთხევის“ კალაპოტის გასამაგრებელი ე.წ. „გაბიონის“ კედლის მოწყობა, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 85600 ლარი გამოიყო. აქ სამუშაოები დაიწყო შპს „ტ“ და „გ“-მ ივლისიდან. დღეისათვის აქ სამუშაოები სანახევროდაა შესრულებული.

რუსთაველის ქუჩა

რუსთაველის ქუჩა

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 320 ათასი ლარით განისაზღვრა ქალაქ საგარეჯოს ქუჩის – რუსთაველის №1 სკოლიდან დოდოს ეკლესიამდე ტროტუარების რეაბილიტაცია, რასაც შპს „სამგზავრო და სამშენებლო კომპანია“ და შპს „გარეჯი-2007“ აწარმოებს. ეს სამუშაოები 16 სექტემბრიდან დაიწყო და სამუშაოები 50 პროცენტითაა შესრულებული.

კახეთის გზატკეცილზე

ქალაქ საგარეჯოს დავით აღმაშენებლისა და ერეკლე მეორის (ყოფილი სტალინის) ასფალტსაფარიანი ქუჩების ორმოული შეკეთება 2 აგვისტოს დაიწყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 50 ათასი ლარის დაფინანსებით და აღნიშნული სამუშაოები უკვე დაამთავრა შპს „სამგზავრო და სამშენებლო კომპანიამ“. ინდმეწარმე „დავით დარბაისელის“ მიერ იქნა აღდგენილი ქალაქ საგარეჯოში, კოსტავას ქუჩაზე სტიქიით დაზიანებული საკანალიზაციო ქსელი, რომელიც „რეგიონალური პროექტების ფონდის“ მიერ 13004 ლარით იყო დაფინანსებული.

მოასფალტდა ქალაქის ქუჩების – მამისაშვილის, მიხეილ ქვლივიძის, ცხვედაძის, გამარჯვების, ბარათაშვილის, გულისაშვილის მცხოვრებთა საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელები. ასევე გაკეთდა ქუჩების – გულისაშვილისა და ცხვედაძის მიერთებები, რომლებიც შპს „კლოტოიდა-2009“ გააკეთა.

ქვეითად მოსიარულეთა სავალი ბილიკი წესრიგდება საგარეჯოს ლესელიძის ქუჩაზე – აქ კეთდება ლამაზდება ბორდიურებით ტროტუარი.

საგარეჯოში, მდინარე „თვალთხევის“ ორი ნაპირის შემაერთებელი ე.წ. „სიყვარულის ხიდი“ შეკეთდა, გალამაზდა, რომელიც არა მარტო აქაური მოსახლეობის დამაკავშირებელი ხიდია, არამედ შეყვარებულთა „მესაიდუმლეც“.

რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალის მარცხენა მხარეს ქვეითად მოსიარულეთა ბილიკის ქვაფენილი საგრძნობლად იყო დაზიანებული. მისი ნაწილობრივი აღდგენითი სამუშაოები _ PSP-ს აფთიაქიდან „სოკარის ავტოგასამართ სადგურამდე“, ჩაატარა ინდმეწარმე „ზურაბ ბაირამაშვილმა“.

ყველას მოგეხსენებათ, რუსთაველის ქუჩაზე არსებულმა ხეებმა რამდენად დაზიანა ე.წ. ტროტუარი – ფეხითმოსიარულეთა ბილიკი – დეფორმაცია განიცადა მთლიანად სავალმა ბილიკმა, გაჩნდა ორმოები, საერთოდ ამოიცვითა ასფალტი, აუცილებელი გახდა ამ ხეების მოჭრა-ამოძირკვა. ასევე, გადაიბელა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ხეები, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომში ქვაფენილის დაზიანება ხეების ფესვებისგან.

რკინის მოაჯირები გაუკეთდა რუსთაველის ქუჩის მონაკვეთს, რამაც ერთობ გაალამაზა ქუჩა. ახალ წლამდე ორიოდე კვირაღა დარჩა. საზეიმოდ უნდა მოირთოს და მოიკაზმოს ქალაქის ქუჩები. ამიტომაც ჩქარობენ მშენებლები, დროულად მოამთავრონ მათზე მინდობილი სამშენებლო თუ სარეაბილიტაციო სამუშაოები, რითაც მეტ სილამაზეს შემატებენ ქალაქს.

*ჩაიწერა:*
***თინა ილაურმა***

# კითხვა გაქვთ? ეკონომიკურ საქმიანობაზე გიპასუხებთ!

დღეს ბევრზე ბევრი კითხვა დგება ფიზიკური პირის წინაშე ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით კითხვა-კითხვით აგნებს საქმიანობის სწორად წარმართვისათვის საჭირო პასუხს. ჩვენ კი გაზეთის საშუალებით არაერთხელ მოგმართეთ მეწარმეებს და ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ჩვენი გაზეთის რედაქციისათვის მოგეწოდებინათ ის კითხვები, რომლებიც თქვენთვის ამ მიმართებით ჯერჯერობით პასუხგაუცემელია.

დღეს კვლავ კითხვა-პასუხზე ვიწვევთ საბარეჯოში მოქმედ აუდიტორული ფირმა შპს „ბარანტის“ დირექტორს ქ-ნ **ნათელა ჭიაბერაშვილს.**

**კითხვა**: ფიზიკურმა პირმა გაყიდა საცხოვრებელი ბინა, მაინტერესებს დაიბეგრება თუ არა დღგ-ით და საშემოსავლო გადასახადით?

ასევე მაინტერესებს, თუ:

**1. ის საცხოვრებელ ბინას საკუთრებაში ფლობს 2 წელზე მეტი ვადით და ყიდის ფასნამატით**

**2. ის ბინას ფლობს 2 წელზე ნაკლები ვადით და ყიდის მას ფასნამატის გარეშე**

**3. საშემოსავლო გადასახადის რა განაკვეთით უნდა დაიბეგროს ფიზიკური პირის აღნიშნული შემოსავალი?**

**პასუხი:** საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 აგვისტოს № 504 ბრძანებით "ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ ყოველი უწყვეტი 48 თვის განმავლობაში მის საკუთრებაში არსებული 4 საცხოვრებელი სახლის (ბინის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაცია"

ვინაიდან დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციის განსაზღვრა ხდება პირის ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში , ამიტომ საცხოვრებელი ბინის გაყიდვა ფიზიკური პირის მიერ არ დაიბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით მიუხედავად იმისა 100000 ლარს გადააჭარბებს თუ არა ბინის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი.

რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას პირველ შემთხვევაში, ის ისარგებლებს სსკ-ის 82-ე მუხლის "ვ.ა" პუნქტის მიხედვით დაწესებული შეღავათით, რომლის თანახმად " საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწის რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

მეორე შემთხვევაში კი დასაბეგრი შემოსავალი უბრალოდ არ წარმოიშობა, გარდა იმ გამონაკლისისა, როდესაც ბინის საბაზრო ღირებულება თვითღირებულებაზე მეტია, ან გარიგება ხორციელდება ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის.

# ბავშვებიც თვალით ლარაფული შეიმოგზაურეს

## ინტერაქტიული მეცადინეობა საგარეჯოს I საბავშვო ბაღში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანებამ საბავშვო ბაღებში ფართო განხილვის საგნად აქცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი აღზრდის სარეკომენდაციო პროგრამა. ამ პროგრამის წარმატებულ განხორციელებაზე, უნარ-ჩვევების განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული მომავალი თაობების ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება

ლოგიკურია ის აქტიურობა და დაინტერესება, რაც ამ პროგრამის პრეზენტაციაზე გამოიჩინეს პედაგოგებმა, ფსიქოლოგებმა და მენეჯერებმა. მეცადინეობა ჩატარდა გაერთიანების მთავარი სპეციალისტის ლუიზა ქიტოშვილის ხელმძღვანელობით.

აღზრდის პროგრამის წარმატებული განხორციელებისათვის მუშაობის გაგრძელებას წარმოადგენდა საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღში ერთი თვის თავზე ნოემბრის მიწურულს ჩატარებული ინტერაქტიული მეცადინეობა, რომელსაც ქალაქ საგარეჯოსა და მიმდებარე სოფლების საბავშვო დაწესებულებათა პედაგოგები ესწრებოდნენ. მეცადინეობა მიზნად ისახავდა: ა) ბავშვის წარმოსახვასა და შესაძლებლობების განვითარებას; ბ) ბავშვებთან ერთად კომპოზიციების განხილვა-მეტყველების უნარის განვითარებას; გ) მუშაობა მაგიდასთან: ფანქრით ხატვა შემოდგომის თემაზე – ფანტაზიის უნარის წარმოსახვას.

... მეცადინეობის დაწყებამდე ჯგუფის პედაგოგმა ლია კოხტაშვილმა დამსწრეთ წარუდგინა მეცადინეობის გეგმა. თემად შერჩეული იყო წელიწადის ყველაზე ლამაზი და მრავალფეროვანი დრო – შემოდგომა. ბავშვებმა ფართო, ამოუწურავი ცოდნა გამოამჟღავნეს. ისინი არა მარტო იმაში ერკვეოდნენ, რომ იმ დღეს სამშაბათის ღრუბლიანი დილა გახლდათ, არამედ დაწვრილებით ახასიათებდნენ შემოდგომის დღეების დამახასიათებელ ამინდს. აღსაზრდელებმა ახსნეს, რომ ნოემბერი მეორე ნაირად გიორგობის თვედ მოიხსენიება, ეს დრო ზამთრის სამყაროში შესასვლელი დროა. სექტემბერი ფოთოლცვენის დასაწყისია. იმალებიან მწერები და ქვეწარმავლები. იწყება „ბებრის ყვავილობა“ ანუ ბუნების მოქცევა.

... ბავშვები მიუსხდნენ მაგიდას შემოდგომის დღეების დასახატად. ნახატები გამოფინეს „სამხატვრო გალერეაში“. ისაუბრეს თავიანთ ნამუშევრებზე. პარალელურად რამდენიმე აღსაზრდელმა ხის ხმელი ფოთლებით იატაკზე მზე, სახლი და ხე მოხატა, ბოლოს, მუსიკის ფონზე წარმოადგინეს ფოთოლცვენის ინსცენირება. ყველაფერი პედაგოგის გეგმა-კონსპექტის მიხედვით წარიმართა.

მეცადინეობა შეაჯამეს გაერთიანების დირექტორმა ია თოლომაშვილმა და საბავშვო ბაღის მენეჯერმა თამარ ლაფერიშვილმა.

მსგავსი ინტერაქტიული ღონისძიებები თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაიგეგმა სხვა საბავშვო ბაღებში, კერძოდ, ნინოწმინდის, ყანდაურის და ჩაილურის. მეცადინეობა თვის თავზე – დეკემბერში ნინოწმინდის საბავშვო ბაღში ჩატარდება, რაც აქაურ პატარებთან ერთად, ამ სფეროში დასაქმებულ მუშაკთა დაოსტატებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავების საქმეს კიდევ უფრო მეტად წაადგება.

*გივი დაბახიშვილი*

# შეხვედრა „სათნოების სახლის“ ბენეფიციარებთან

*„ბლუკში მიფრინავენ ლა ლუკში მიჩქარან, ლაჩი ამლე კალიც ლა სცკა ჩვენც ლაფეფლეფით. კოველი ბაში საკუსულ კვეჩვეესა, კოველი ბუთი უკილკა ბლეკა, ფიქრეფიც მიჩვეფი მიკურაკ ბლეკა, მიბრეფილ კაზე უაკრა ამი ლიფული ჩნლეკა, უაკრა ლილა ლაკი იკვლეკა, უაკრა ლიმილი ქრეკა საფეფე. თამი ფაკარა ნულ-ნულა ჩნლეკა, საფეფ ეკლეკა ბულა სიფარეფე, კინეკა უკვე ლაიმინლეკა, ფეული ამლა კარეკა, ფარეკა ფულეკი. ალეფ სიკვლა ეკუნეკა, თვალეკ სიბალეკ...*

*ამაკიკეფილ ლეფეფამ კვიმიმ ფული ნათული იკი ლიალი“.*

*მარიამ თედიაშვილი,*
*XI კლასი*

# ბენეფიციარებს

საგარეჯოს №2 საჯარო სკოლა მეორე წელია მჭიდროდ თანამშრომლობს სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების ერთ-ერთ განმახორციელებელ თელავის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრთან. პროექტი ეკუთვნის ფონდ „ჰარმონიას“. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში საგარეჯოს №2 საჯარო სკოლაში შეიქმნა სამოქალაქო კლუბი (ლიდერი ქეთი მეიფარიანი), რომელიც ამ დროის განმავლობაში დაექვემდებარა ამავე სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას (პრეზიდენტი ლილიკო ჭიაურელი,XIკლ.) მათი ერთობლივი ძალისხმევით ჩატარებულ იქნა ღონისძიებებიც. წელს გვსურდა, რომ ღონისძიება უფრო მრავლისმომცველი ყოფილიყო და გადავწყვიტეთ ერთად ოთხი საერთაშორისო დღე აღგვენიშნა: 16 ოქტომბერი – კვების საერთაშორისო დღე, 24 ოქტომბერი – გაეროს საერთაშორისო დაცვის დღე, 20 ნოემბერი – ბავშვთა საერთაშორისო დღე, 10 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე.

ღონისძიება, რომელიც საგარეჯოს „სათნოების სახლში“ (დირექტორი თ. კუჭუაშვილი) ჩატარდა, სკოლის მოსწავლეთა შემოქმედებითი ძალებით შედგა. აქ იყვნენ მომღერლები, მოცეკვავეები, რომლებმაც თავიანთი გამოსვლით ბენეფიციართა ტაში და მადლობა დაიმსახურეს. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები, აქაურ ბენეფიციარებს გადავეცით საახალწლო საჩუქრები და შევეცადეთ ეს ერთი ჩვეულებრივი დეკემბრის დღე როგორმე გაგველამაზებინა მათთვის.

სამოქალაქო კლუბისა და სკოლის თვითთმართველობის წევრები დიდ თანადგომას ვგრძნობდით ღონისძიების მომზადებისას სკოლის დირექტორის მანანა ცუცქირიძის, პედაგოგ ლალი კოხტაშვილის და თითოეული ჩვენი პედაგოგის, ჩვენი სკოლის მოსწავლის მხრიდან.

ამ ღონისძიების საშუალებით გვსურდა პატარა წვლილი შეგვეტანა დიდ საქმეში, რასაც ქველმოქმედება ჰქვია. ჩვენი მიზანი იყო აქტიურად ჩავრთულიყავით საზოგადოებრივ საქმიანობაში და თანატოლების მისაბაძი გავმხდარიყავით, ასევე ოდნავი სიხარული მიგვენიჭებინა იმ ხალხისთვის, რომლებიც სოციალურ ცენტრებში ეძიებენ დახმარებას.

ღონისძიებას დაესწრნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის მთავარი სპეციალისტი განათლების დარგში არჩილ ჯაბადარი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს რესურს-ცენტრის უფროსი თამარ ლაფაჩიშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი თამარ ჯაბადარი, სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების პროექტის ასისტენტები ქრისტინე მჭედლიშვილი და ლევან დათიშვილი.

ბენეფიციარებს გადავეცით საახალწლო საჩუქრები.

***ქეთი მეიფარიანი,***
*საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის*
*სამოქალაქო კლუბის ლიდერი*

## რისთვისაა საჭირო მარხვა

პირველი მცნება, რომელიც ღვთის მიერ კაცობრიობას მიეცა, სწორედ მარხვას მიემართება. მარხვა აუცილებელი იყო ჩვენთვის სამოთხეში, ცოდვით დაცემამდე, და მით უფრო აუცილებელია ახლა, სამოთხიდან განდევნის შემდეგ. ჩვენ უნდა ვიმარხულოთ, რათა აღვასრულოთ ღვთის მცნება. ბიბლიის მრავალ წიგნშია მითითებული მარხვის მნიშვნელობა, მაგალითად, წინასწარმეტყველ იოველის წიგნში ნათქვამია: „ახლაც ამბობს უფალი: მოიქეცით ჩემსკენ მთელი გულით, მარხვით და მოთქმა-გოდებით. გულები დაიგლიჯეთ და არა სამოსელი, დაუბრუნდით უფალს, თქვენს ღმერთს; მოწყალე და შემბრალებელია იგი, სულგრძელი და მრავალმადლიანი... ჩაბერეთ საყვირს სიონზე, დათქვით მარხვა და გამოაცხადეთ ჯარობა" (იოველი 2, 12-15).

*ქრისტეშენიერ*

## მარხვა

უფალი ბრძანებს, რომ ცოდვილმა ადამიანებმა უნდა იმარხულონ, თუკი მისი წყალობის მიღება სურთ. ტობითას წიგნში ანგელოზი ეუბნება ტობიას: „სიკეთეა ლოცვა მარხვით, მოწყალებით და სამართლიანობით. სჯობს მცირედი და სამართლიანობით, ვიდრე მრავალი და უსამართლობით" (ტობ. 12, 8).

თავად მაცხოვარიც მარხულობდა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე. „ქრისტე ჩვენთვის ევნო და დაგიტოვათ ნიმუში, რათა მისდიოთ მის კვალს" (1 პეტრ. 2, 21) - გვეუბნება პეტრე მოციქული და მოგვიწოდებს, ჩვენც ძალისაებრ ჩვენისა, დავიცვათ მარხვა.

მათეს სახარებაში მოხსენიებულია, რომ როცა იესო ქრისტემ ეშმაკეული განკურნა, მოციქულებს უთხრა: ეს მოდგმა მხოლოდ ლოცვითა და მარხვით განიდევნება (მთ. 17, 21).

„ქრისტიანისათვის მარხვა აუცილებელია იმისთვის, - წერს წმიდა იოანე კრონშტადტელი, - რომ განანათლოს გონება, გააღვიძოს და გააღვივოს გრძნობები და ნებას კეთილი ღვაწლისაკენ უბიძგოს. ჩვენში არსებულ ამ სამ უნარს ყველაზე მეტად ჩვენვე ვაბნელებთ და ვთრგუნავთ (ლკ. 21, 34), ამის შედეგად კი ცხოვრების სათავეს - ღმერთს ვშორდებით, ხრწნასა და ამაოებაში ვვარდებით, საკუთარ თავში ვრეკნით და შეურაცხყოფთ უფლის ხატებას. გემოთმოყვარება და გაუმაძღრობა მიწისკენ მიგვაქცევს და ჩვენს სულს ფრთებს აკვეცს. არადა, რაოდენ მაღლა მიისწრაფიან მმარხველი ადამიანები! როგორც არწივნი, ზეცას მიელტვიან, გონებითა და გულით ზეცაში ცხოვრობენ და ასე სწავლობენ ღვთაებრივ სიბრძნისმეტყველებას. უმარხველობა ხელს გვიშლის, რომ გვიყვარდეს უფალი და მოყვასი, ვასრულებდეთ უფლის მცნებებს.

მარხვა აუცილებელი საშუალებაა ჩვენი განწმენდისა და ღმერთთან ერთობისათვის. იგია საშუალება იმისა, რომ თანაზიარ ვექმნეთ უფალს.

რადგან არ ვმარხულობდით, სამოთხიდან გამოგვაძევეს! ამიტომ ვიმარხულოთ, რათა კვლავ დავბრუნდეთ სამოთხეში (წმიდა ბასილი დიდი).

### როგორ ვიკვებოთ?

მარხვაში ქრისტიანი ზომიერად იკვებება, ზოგიერთი ღრმა მორწმუნე უარს ამბობს იმ სამარხვო საჭმელებზეც კი, რომელიც მას უყვარს. შობის მარხვაში 25 დეკემბრამდე, ოთხშაბათ-პარასკევის გარდა, შეიძლება თევზის ჭამა.

# პატარძეულში ახალი ეკლესია შენდება

პატარძეულის შემოგარენში მრავალი ისტორიული ძეგლის ნაშთია გაბნეული, რომლებიც დღევანდელობას ჩვენი ქვეყნის ოდინდელ დიდებას შეახსენებენ. ერთ-ერთი ასეთი ძეგლი გახლავთ ფერდობზე შემორჩენილი ეკლესიის მორღვეული კედლები, რომელიც კომუნისტების ხანაში პირუტყვის სადგომად ჰქონდათ გამოყენებული. ამ ეკლესიის კედლები თავისი სიდიდითა (1.20მ სიგანის) და სიმტკიცით დღემდე აოცებენ მნახველებს. სწორედ ამ კედლებზე ახალი ეკლესიის აგება დაისახა მიზნად პატარძეულის ამჟამინდელმა რწმუნებულმა (ოღონდ რწმუნებულად დანიშვნამდე) თემურ ყუშიტაშვილმა, რომელმაც თავისი ეს ჩანაფიქრი თანასოფლელ სახელოვან სპორტსმენსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელს გივი ონაშვილს გაანდო. ორ თანამოზიარეს ღვთის სადიდებელი საქმის კეთებაში მალე სხვა პატარძეულელებიც შეუერთდნენ – თენგიზ ოქროცვარიძე, ოთარ მუჩიაშვილი, თამაზ ყურკაციშვილი, ვანო ზუკაკიშვილი, ვანო ტურაშვილი, გია კავთელაშვილი და სხვები, რომლებმაც გაიღეს გარკვეული თანხები მშენებლობის წარმოებისა და სამშენებლო მასალების შესაძენად. აღნიშნული პიროვნებები და ბევრი სხვა პატარძეულელი პირადად მონაწილეობდნენ მშენებლობაში და ერთსულოვანი შრომით შეძლეს სამუშაოთა უმეტესი ნაწილის შესრულება. ამჟამად ეკლესიის კედლები უკვე ამოყვანილია და მიმდინარეობს მეტალოკონსტრუქციებით გუმბათის გადაყვანის სამუშაოები.

როგორც ჩვენთან საუბარში ბ-ნმა გივი ონაშვილმა აღნიშნა, ეკლესიის შენობამდე უკვე მიყვანილია ელექტროგანათება, ქართული კრამიტით შემოევლო კარნიზი და გამოისახა ორი ჯვარი. ჩქარობენ პატარძეულელი მშენებლები, უნდათ, რომ ამინდების გაუარესებამდე მოასწრონ ეკლესიის გარე სამშენებლო სამუშაოები, რომ შემდეგ მისი მოპირკეთება დაიწყონ.

თუ რომელი წმინდანის სახელზე შესრულდება ღვთის სახლში ღვთისმსახურება, პატარძეულელები საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად გადაწყვეტენ.

***გივი დაბახიშვილი***

# „მართალთა შინა წიაღში"

### გურამ დავითელაშვილი

გურამ! ჩვენო გაუნელებელო სევდავ და მოუშუშებელო ჭრილობავ, ნაადრევად შეწყვეტილო სიხარულის სიმღერავ და მშობლების ტკბილი სიბერისათვის დაკარგულო იმედო! 12 დეკემბერს 29 წლის შესრულდებოდი, შვილო, გურამ! შვიდი წლის წინ, ივნისის იმ ავბედით ღამეს სამუდამოდ ჩაქრა შენს თვალებში სიცოცხლის სხივი, გაუქვავდა მშობლებს გული, ცრემლი შეეჩვია თვალთა უპეებს და მხოლოდ მიწასდა ჩავძახით შენს სახელს – გურამ, გურამ, შვილო, სად ხარ, სად მოვეფეროთ შენს ლამაზ სულს?! როგორ გიპოვოთ?! სად გაქრა დედის სიხარული, მამის იმედი, დის საყრდენი, შვილის მშვიდი ნავსაყუდელი, შვილო?! მეშვიდე დეკემბერი მოვიდა უშენოდ – გაყინული და გაციებული. მეშვიდე ზამთარია შენი ფეხის ხმა აღარ ისმის შენს ეზოში, მეშვიდე დეკემბერია აღარ მასპინძლობ მეგობრებს, მეშვიდე დეკემბერია დაბადების დღის მილოცვის ნაცვლად შესანდობარს ამბობენ შენი მეგობრები. ბავშვობიდან ცელქი, ახალგაზრდობაშიც მოუსვენარი, მუდამ მოძრავი, თბილი, მოსიყვარულე ბიჭი სიკვდილმა შეგბოჭა ყინულივით ცივი ხელებით, საგარეჯოს მიწამ ჩაგიხუტა, სამუდამოდ წაგვართვა შენი თავი და რაღა დაგვრჩა?! შენი მონატრება, უსასრულო მოლოდინი, მწარედ მოთქმა და გოდება, მაგრამ მაინც გულს გვითბობს შენთან ყოფნისას ის სიხარული და სიყვარული, რასაც შენ არა მარტო მშობლებს და ახლობლებს გვინაწილებდი, სხვებსაც, უცხოებსაც უთბობდი შენებურად.

გილოცავთ დაბადების დღეს ჩვენო მონატრებავ, გილოცავთ ცრემლებით, სანთლებით, ყვავილებით და რწმენით, რომ შენ შენებისათვის მაგ ქვეყნიდან ლოცულობ და მფარველობ!.

***ოჯახი***

# რჩევები დიასახლისებს

**ძვირფასო** დიასახლისებო, დღეს უამრავი კულინარული საიდუმლოს მფლობელები ხართ, ვიცით. ზოგი შესანიშნავ, გემრიელ ნამცხვრებსა და ტორტებს აცხობთ, ზოგი ნიგვზიან საჭმელებს ამზადებთ თქვენეული ჯადოქრული კულინარიული ნიჭით, ვინ კონსერვსა და კომპოტს ამზადებს, ვინ მწნილის ჩადების საოცარ საიდუმლოს ფლობს. მოდით, ამ გაზეთშიც გამოვძებნოთ კუთხე დიასახლისებისათვის, მოვკალათდეთ სადმე, თუნდაც პატარა კუთხეში და ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება, გავაცნოთ ის რეცეპტები, რომელიც ბებიებისგან გადმოგვეცა, რომლებიც დედებმა გვასწავლეს, ჩვენ თავად ვისწავლეთ. გაბედულად მოკიდეთ ხელი კალამს, მოგვწერეთ, დაგვირეკეთ ტელეფონზე, გვეწვიეთ რედაქციაში. ჩვენ ყოველთვის მოხარული ვიქნებით თქვენთან შეხვედრისა და საუბრისა. არ მეგულება ქალი, რომელიც ყოველდღე თუ არა, კვირაში ერთხელ მაინც ცომს არ ზელდეს პურის (თონის თუ „ფურნის"), ხაჭაპურის, ქადების ფუნთუშების, ნამცხვრის გამოსაცხობად.

ძველად ამბობდნენ: ქალი, რომელიც ოჯახში ყოველდღიურად თუ არა, ხშირად ცომს ზელს და აცხობს, ამით ოჯახში ადვილად აწონასწორებს ოჯახურ სიტუაციას, შეაქვს სიმშვიდე, სიწყნარე, რაც ესოდენ აუცილებელია თითოეული ჩვენგანისთვის დღევანდელ პირობებში.

მოდით, დღეს ორიოდ რჩევას მოგცემთ ცომის მოზელისას. თქვენც გეცოდინებათ, მაგრამ, მაინც წავიკითხოთ, იქნებ თქვენ უკეთესი რეცეპტი გაქვთ?ნუ დაიზარებთ, გაიმეტეთ სხვისთვისაც – გაზეთის ფურცლებზე მოსახვედრად.

თუ საფუარიანი ცომის მოზელისას ხელებს ზეთში დაისველებთ, ცომი ხელზე აღარ მოგეკვრებათ.

ცომის მოსაზელად ფქვილს კი ნუ ჩაყრით რძეში, ან წყალში, არამედ პირიქით, სითხე თანდათანობით, წვრილ ნაკადად ჩაასხით ფქვილში და ურიეთ.

საფუარიანი ცომი განსაკუთრებით ნაზი და ჰაეროვანი გამოვა, თუ გამოცხობის წინ შიგ ჩაუმატებთ წვრილ სახეხზე გახეხილ მოხარშულ კარტოფილს (2-3 კარტოფილი 1 კგ ფქვილზე).

თუ მოზელვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ცომს მარილი აკლია, მარილი სულ ცოტა წყალში (პურის ცომი) ან რძეში გახსენით, ცომს შეურიეთ და კიდევ კარგად მოზილეთ.

მოზელვის წინ ცომისთვის ფქვილი უნდა გაცრათ. ამით ის ჟანგბადით გამდიდრდება და ცომი კარგად ამოვა.

ცომში შეზელვისას საფუარი გავლენას ახდენს ფქვილში მყოფ შაქროვან ნივთიერებებზე. იწყება ცომის აფუება და ჩნდება ნახშირმჟავა გაზი და სპირტი. სწორედ ნახშირმჟავა გაზის ბურთულები სწევს ცომს და აფუებს.

– ზეთში შემწვარი კარტოფილი რომ ხრაშუნა გამოვიდეს, მარილი ბოლოს მოაყარეთ.

– ნამცხვარი რომ ფორმას არ მიეკრას, მხოლოდ ცხიმის წასმა არაა საკმარისი, კარგი იქნება თუ საფანელს (დაფქულ ორცხობილას) მოაყრით.

– კარტოფილის ნაჭრები ტაფას რომ არ მიეკრას და არ ჩაიშალოს, შეწვის წინ დაჭრილი კარტოფილი ცივ წყალში გააჩერეთ, მერე კი შეწვის წინ გააშრეთ.

– მწვანე ბარდამ ხარშვისას რომ სიმწვანე შეინარჩუნოს, წყალში მცირეოდენი შაქარი დაუმატეთ.

– ქამბალას სპეციფიკური სუნი აღარ ექნება, თუ დამუშავებისას მუქ კანს გააცლით.

– თუ მცირეოდენ გახეხილ მუსკატის კაკალს ჩაუმატებთ ადუღებულ ზეთში, მასში შემწვარი თევზი ოქროსფერი და არომატული გამოვა.

– ცხიმიან თევზს, მაგალითად, პალტუსს, ქამბალას მჟავე სოუსები უხდება – ტომატის, ხახვის, ტყემლის; ხოლო ხეკი, სკუმბრია, სტავრიდა კარგია მაიონეზით ან არაჟნის, მოხარშული კვერცხისა და კარაქის ნარევით.

– დამარილებული თევზი ცოტა ხნით ცივ წყალში ჩადეთ, რომ გაიჟღინთოს და ადვილად გაძვრეს კანი.

– დანას თევზის სუნი არ ექნება, თუ მარილით გაწმენდთ.

– მოშუშული ხახვი ოქროსფერი გამოვა, თუ შეწვის წინ ფქვილში ამოავლებთ.

– დამარილებულ ქაშაყს ("სელიოდკას"), ცივ მოხარშულ თევზს და ხორცს გარნირად ძალიან უხდება ხახვის დამწნილებული წვრილი ბოლქვები.

– მუნდირში მოხარშული კარტოფილი უფრო გემრიელი იქნება, თუ ხარშვისას წყალს ცოტაოდენ ძმარს დაუმატებთ ან ნივრის კბილს ჩააგდებთ.

– თუ წყალს ცოტაოდენ ზეთს ჩაუმატებთ, კარტოფილი უფრო ჩქარა მოიხარშება.

– კარტოფილი მარილწყალში, დაბალ ცეცხლზე უნდა მოიხარშოს.

– კარტოფილის კატლეტები ფუმფულა გამოვა, თუ ცოტაოდენ სოდას დაუმატებთ.

ქათამი ან ინდაური სწრაფად შეიწვება (ან მოიხარშება), თუ შიგნიდან და გარედან ლიმონს გამოუსვამთ.

# „სასიტყვეთში მოგზაურნი“

*გივი დაბახიშვილი*

## სატრფიალო

მინდა მოგეპარო საავდრო ღრუბელივით
და თავს დაგატეხო სიყვარულის დელგმა,
ასეთი სათუთი და სანეტარო,
გშობა რომელმა დედამ?!
შენთვის გაიმეტა ბუნებამ ყველაფერი –
თუკი ქვეყანაზე რაიმე ფერია
და ხარ ვარდობისთვის სურნელით ალდებული,
ყვავილთა ფერებით ნაფერი ფერია!
მინდა მოგახვიო ღრუბელთა ფარები
და თავს დაგეპკურო მაისის წვიმად
და შენც გაიბრწყინო, როგორც ნაწვიმარზე,
შვიდფერი ცისარტყელა ბრწყინავს!
მინდა მოგებურო ღრუბელივით
და თავს დაგატეხო სიყვარულის თქეში.
შენა ხარ თვითონ სიყვარული
და თვით სიყვარულის ღმერთი!

*გოდერძი გოდერძიშვილი*

## სხვა რა მინდა

სიცოცხლე ხარ ჩემთვის,
სულის
წყარო დაუშრეტი,
შენი კარგად
ყოფნის გარდა,
სხვა
რა მინდა მეტი:
შენ ერთი ხარ
სამყაროში,
შენ-და გხედავ,
თითქო,
დაგინახო, შემოგხედო,
მეტს არაფერს ვითხოვ.
დაჭრილი ვარ
ალალ გულში
და არც
ვითხოვ შველას,
რად მიყვარხარ? –
ისეთი ხარ,
ეყვარები ყველას.
განირჩევი სხვა ქალთაგან,
ათას ქალთა შორის,
რად მიყვარხარ?
არ მიყვარდე, –
არ ვიქნები სწორი.
შუადამის ფიქრის ფონზე
თეთრ სამოსში გხედავ,
შენც თუ ფიქრობ ამ წუთებში,
თუ გრძნობ ამას, ნეტავ.
გათენდება, მოვალ შენთან,
შემოგხედავ ერთხელ,
მერე წავალ, გავუყვები
ცხოვრების გზას, ერთფერს.
სიცოცხლე ხარ ჩემთვის,
სულის წყარო, დაუშრეტი,
შენ გახსოვდეს
რომ მიყვარხარ,
სხვა რა მინდა, მეტი.

## მარადიულ სივრცეში

თითო-თითო, ორ-ორი,
სასაფლაოს დაღმართზე,
თითქმის სირბილ-სირბილით
ვალმოხდილნი მიდიან,
მიუხვდები ამ სოფელს,
კაცი ამათ ნახვაზე,
რა მცირეა სიცოცხლე,
რა მწარე და ფლიდია;
და ყურებში, ყურებში
ისმის ბელტის გრუხუნი,
კუბოს სახელურებში
თრთის მარადის უკუნი.
გულს ფიქრები გვიკორტნის
და ვერ ფარავს სიდინჯე,
საკუთარი სიცოცხლის,
გარდაუვალ სიკვდილზე.
სანამ ქვეყნად ვარსებობთ
ვართ ერთურთთან დავაში,
მოვკვდებით და მთავრდება,
ნერვიული თამაში.
კაცი მაღლა წავა და
დაბლა რჩება სანთელი,
მიწაყრილზე დაათოვს,
მიხაკების ფანტელი,
წუთისოფლის ცოდვებით,
მიწიერი დიდებით,
როგორც ბარტყი ბუდიდან,
იმ ქვეყნისკენ ვფრინდებით.
მარადიულ სივრცეში
წყდება მადლის რაობა,
ვართ სიკეთის მსახური
თუ ვართ არარაობა.
თანადგომა თუ არა
სანთლებით და ლოცვებით,
მარადიულ სივრცეში
მართლა დავიხოცებით.

*როსტომ როსტიაშვილი*

## „მე იმ ქვეყნის სანახავად წავედი“

**(ეპიტაფია)**

იცოდეთ, რომ მე იმ ქვეყნის სანახავად წავედი,
კარგად ვხედავ: გზა მოკლეა, ამავე დროს გრძელი,
ლურჯი სიმწვანე მელოდება, როგორც ხავერდი
და ახალი წელთაღრიცხვის დაწყება მელის.

უკან მომყვება უჩინო-უშნო, ურჯულო, სამთითა,
ისე ადვილად ვიშლები, როგორც ნაწერი ცარცითა.
მთიელთა სისხლი მიყივის, ფრენა მომინდა
არწივთა,
არ გეგონოთ, რომ ლექსს ვამბობ,
სადღეგრძელოს ვსვამ ყანწითა.

მივდივარ, გადაუხდელი მრჩება ამ ქვეყნის ვალები,
ამბრმა, უმბრმა და არაბმა დამთხარეს ორთავ
თვალები.
ვეცადე, ვერ შევაჩერე ამქვეყნიური წამები,
სევდა მიმყვება და დიდი დაუწურავი დარდები.

წავალ გარდასულ დროში, სამყაროს
საზღვრებს ვნახავ;
რად გავჩნდი, რისთვის მოველ, პასუხს
მივიღებ ალბათ.
ამისთვის კი ღირს: შევკაზმო ჩემი ლაფშა –
შავი, კუპრივით შავი და დავარღვიო ადთქმა.
(იმედი მაქვს, რომ უფალს, მე უფრო ახლოს
ვნახავ).

ჩამომეხსნება ეშმა, გულის ფიცარის მღრღნელი,
სუფთა გულითა მოვალ, ვიცი, რომ ძლიერ მელით.
დამარცხებული მოვალ, ვერ გავიმარჯვე ომში,
ვებრძოდი დროის სრბოლას და დავიკარგე დროში.

დამარცხებული მოვალ და მოგიყვებით მალე:
ვერ გავაცალე თიხას, შავი ბალღამი მწარე,
ვეღარ ვარჩევდი ვერა, საწუთროს ღღეს და ღამეს,
ვხედავდი, რაც სტანჯავდათ მუშნის, იუდას, კაენს.

მრჩება, აქ მრჩება სურათი, სასწაულებით სავსე:
მზე, ვარსკვლავები მტირალნი, ხალებიანი მთვარე,
მიწის სურნელი გაზაფხულს, მინდვრად
ჯეჯილი მწვანე,
ფიქრით დაღლილი ხეები, (რასაც დავკარგავ მალე...)

მერცხლის ჭიკჭიკი განთიადს, ფოთლების
ცვენა ტყეში,
ჭიანჭველათა არმიას თავზე დასხმია თქეში...
ბალახს – უსიტყვოს, თავმდაბალს, არ უყვარს
ყოფნა სხვებში,
ღრუბელი წამით შეჩერდა და დაისვენა კლდეში.
(აგერ სურათი სხვაგვარი – განასხვავებენ ბევრში:).

ქალის ღიმილის სითბო – შემჩერებული წამის,
ღვთით ბოძებული ნიჭი, რომ მაგიყებდა ლამის,
სიკეთით სავსე გული, ერთგულება და ძმობა,
რომ ვერ შევძელი მათთვის დამონება და ყმობა.

რომ ვერ გავიგე რატომ, რატომ ამოდის ია,
რატომ ეცვლება ფერი, სირცხვილით ადამიანს,
რატომ ქუხს, რატომ ელავს – რას გვანიშნებენ ამით?!
რატომ ტრიალებს მიწა – არა ჩერდება წამით.

შეხედეთ იქით: გოგონა გვირილას ყვავილს აცლის–
შეყვარებულთა ღიმილი გამოირჩევა ასში.
წამია წუთისოფელი? – რასაც უფალი გვაცლის!
როგორ გავერკვე მითხარ, ამა ცხოვრების არსში...

შემომესევა დროდადრო, კითხვის ნიშნების ჯარი,
მარტო ვარ, ხელში მიჭირავს გადატეხილი ხმალი.
უნდა გავიქცე ლაჩრულად, ცხენი მჭირდება მალი,
ანდა ზღვით უნდა წავიდე, გამიმზადენით ნავი.

ვერ შევიპყარი უღონომ: ვეფხვი გამექცა ხელიდან.
ვერ ვხოცე ნადირ-ფრინველი – არცა
ყოფილა ჩვენიდან,
ვერც შეველ ქაჯეთის ციხეს – ნედლი არ
ჩნდება ხმელიდან.

ვერ მოვკალ მონა, წავიდა – არა გამოვა ჩემიდან.
დამღალა გამეორებამ– გაერთფერადდნენ დღეები,
გაღმაურებთან მივდივარ, სად არ იცვლება თვეები,
(სიძულვილითა სიყვარულს, ვერ დავუმოკლე
ხელები)
წავალ, ეგ არაფერია, არ გახმებიან ხეები.

დამღალა პირველობამ და ვერცხლის
ყვარობამ ქართველთა,
თუ დამიჯერებთ, იცოდეთ: ასე ვერ გავზრდით
მართველსა!,
არ ვიცი, რაღა გვიშველის, თუ გზები ასე
ვხლართეთა!
რა პასუხს გავცემთ ღვთისმშობელს,
ვისიც სიცოცხლე გვმართებსა...

ერთი სურათიც მეძახის – თუ მაქვს, მათი
მაქვს ვალები,
თავში დგას პატარა ბიჭი, ლურჯად
უბრწყინავს თვალები,
ვერ დავუტოვე ვერავის – ოქრო, ვერცხლი
და ლალები,
სადაც არ უნდა წავიდე, მე მათ ვერ დავემალები...

ეს გაუმარჯოს იმას, რაც არ ყოფილა ცხადში,
რაც ფიქრის გროვა იყო და გაიფანტა ქარში,
ვინაც ვიყავით, მართლა და არ გვეგონა რაიც,
ეს გაუმარჯოს იმ დროს, რომ გვიხაროდა მაინც.

გაფანტულ ფიქრებს ვაგროვებ, დავეძებ მთა
და ბარში,
ჩემი, მე უნდა წავიღო, ვერა, ვერ გავცვლი სხვაში.
ნეტა ყველას თუ ვიპოვი?! – გაცივდებიან ქარში,
რომელსაც ვერ გავიხსენებ – შეერეოდა დარდში...

მივდივარ: ბუნებრივია – წარმავალია ყოველი,
ვნახე, რაც სანახავია, ახალს ვერაფერს მოველი,
თუ გამაცილებთ – დავლიოთ, ღვინო
ყოველთა მთრობელი,
როგორც იტყვიან – გავლიე მე ჩემი წუთისოფელი...

...წავედი კარგად იყავით, ბევრი მიყვარხართ
აქ მყოფი.
ჩემზე არც ახლა იდარდოთ, საგზალი მიმაქვს
სამყოფი.
სადაც არ უნდა წავიდე, რადაც არ უნდა ვიქცე,
მომენატრება სამშობლო, მე გამოგივლით ისევ,
მოვალ ქარში და წვიმაში, იქნება თქვენც ვერ
მიხვდეთ,
დაგლოცავთ და გაგეყრებით – რომ არც
ვყოფილვარ ისე.
2011 წელი.

*ა _ ტალანტი*

*ვაჟა კევლიშვილი, ვაკელი*

## ვიცი, მალე შემბრუნდება

საქართველო ზღაპარია
ლამაზი, როგორც ვარდი.
არასდროს არ დაბერდება,
რომ არ ჰქონდეს ორი დარდი.

ორი კუთხე მოაცალეს
მხარში ჩასცეს ორჯერ დანა.
აფხაზეთში მათ ჩაახრჩეს
სამეგრელოს ტკბილი ნანა.

ბევრი მოკლეს და აწამეს
ბევრს მოკვეთეს ხელი, ფეხი...
ოსეთსა და აფხაზეთში
ჩამოვარდა უცებ მეხი.

ქალი, ბავშვი არ დატოვეს
არც მღვდელი და არცა ბერი,
ეგეთ ცოდვას არ ჩაიდენს
მტაცებელი რუხი მგელი.

ქართველმა ტანჯვას გაუძლო
ბევრი უნახავს ომები.
მტერი ვერაფრით დაჩაგრავს
არ გახდებიან მონები.

დასაკარგი ჩვენ არა გვაქვს
არც სამშობლო, არცა ერი,
იცოდეს, რომ დამარცხდება
მოძალადე ჩვენი მტერი.

ვიცი, მალე შებრუნდება
და მივაღწევთ მაინც ზღვარსა,
იმედი მაქვს ვინახულებ
ოსეთსა და შავსა ზღვასა.

# საგარეჯოს თოჯინების სახლი თეატრი 55 წლისაა

**1956** წლის თებერვალში საგარეჯოს კულტურის სახლის მაშინდელი დირექტორის ბ-ნ ილია (ქიტა) ბუზიაშვილის ინიციატივით თოჯინების წრე დაარსდა, რომლის ხელმძღვანელიც თავად ბ-ნი ილია იყო ათეული წლების განმავლობაში. და იზრდებოდა საგარეჯოს მომავალი თაობა მათგან სულჩადგმული სპექტაკლების გმირების მაგალითზე. ახლაც კარგად ახსოვთ საგარეჯოელებს ვ. შვემბერგერის „ნანა ტყეში“, შ. ჯალადანიას „ფისუნია და მამლაყინწა“, მ. კორიუნის „ორი ძმა“, ს. ტოლსტოის „დათუნიას ქოხი“ და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი სპექტაკლი. სპექტაკლებში მონაწილეობას ღებულობდნენ მეთოჯინე მოყვარული მსახიობები: ჟუჟუნა და ვენერა ოდიკაძეები, ციალა გილაშვილი, ნელი ნავასარდოვა, ვალენტინა კერატიშვილი, გიორგი არაბული, მედეა ყაზარაშვილი, ვახტანგ ფურცელაძე, ც. ნუკრაძე, ს. მეზვრიშვილი, თინა ქოქიური, სერგო გრატიაშვილი, გულო ჭიაბერაშვილი, დალი ბაჩიაშვილი, დალი და კატო ბუზიაშვილები (ბ-ნი ქიტას ქალიშვილები), რუსუდან და აკაკი ქაიხოსროშვილები, ნანული ბილანიშვილი, ნაირა ელმეთაშვილი, ნანა ხიპაშვილი, ციალა ხებრელაშვილი, ნუნუ თედიაშვილი, იოსებ ვარდიაშვილი, ლალი კვერაშვილი,გია ალექსაშვილი,ზაზა ლაფერიშვილი,ფატი ღვინიაშვილი და ბადრი დრეიძე.

1975 წლიდან თოჯინების წრე კი არა, მას თოჯინების თეატრის სტატუსი ჰქონდა.

1994 წლის ბოლოდან თოჯინების თეატრში მუშაობა დაიწყო განახლებულმა დასმა: მარინა შიოშვილი, ეკა ირემაშვილი, ირინე დრეიძე, ცირა შიოშვილი, ფატი ღვინიაშვილი, თამუნა კევლიშვილი, ბადრი დრეიძე, მიხეილ ხოკერაშვილი, ივერი ჭიაურელი, ვასიკო წიგნაძე, ირაკლი ლიპარტელიანი,მახარე მახარიკაშვილი,დევი ქვლივიძე, თინათინ მეზვრიშვილი და მხატვარი თამარ იორამაშვილი. საინტერესო იყო ის, რომ დასის წევრები თვითონვე ადგილზე ქმნიან თოჯინებს, დეკორაციებს, რეკვიზიტებს, წერენ სცენარებს, აფორმებენ სპექტაკლებს მუსიკალურად, ადრე კი თოჯინების წრეს თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრი ამარაგებდა ამ ყველაფერით, რაზედაც დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა ბ-ნ ილია (ქიტა) ბუზიაშვილს.

1994 წლიდან საგარეჯოს თოჯინების თეატრს „სახალხო“ თეატრის წოდება მიენიჭა.

1995-2011 წლებში სახალხო თეატრის მიერ მოხდა სპექტაკლების აღდგენა და ახლის დადგმა: ვაჟა-ფშაველას „ტყის კომედია“, გ. ხარანაულის „ხუთკუნჭულა“, ნ. ლომოურის „ქაჯანა“ და სხვა. მათ მონაწილეობა მიიღეს მოყვარულთა თოჯინების თეატრების ფესტივალებში და დაჯილდოვდნენ დიპლომებით.

ღღეს დასის შემადგენლობაში არიან: მარინა შიოშვილი (დირექტორი), მიშა ხოკერაშვილი, ბადრი დრეიძე, ფატი ღვინიაშვილი, ირაკლი ლიპარტელიანი, პაატა ქვლივიძე, თინათინ მეზვრიშვილი, ნანული ბილანიშვილი, თამარ იორამაშვილი.

5 დეკემბერს კი მოწვეულ სტუმრებს იუბილარმა – საგარეჯოს თოჯინების სახალხო თეატრმა ახლადგარემონტებულ დარბაზში უმასპინძლა. აქ იყვნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბ-ნი გია ჩალათაშვილი, გამგეობის სამსახურების უფროსები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, დაწყებითი კლასების მოსწავლეები, საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვები, „ვეტერანი“ მეთოჯინე მოყვარული მსახიობები. საღამო გახსნეს მარინა შიოშვილმა და პაატა ქვლივიძემ. აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილი თანხებით გარემონტდა თეატრი და აღიჭურვა საჭირო ტექნიკური მოწყობილობით. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს თეატრის ისტორია, მადლობა გადაუხადეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბ-ნ გია ჩალათაშვილს თეატრისადმი გაწეული დახმარებისათვის, გულისხმიერებისათვის და იმისათვის, რომ მან თავისი საკუთარი საოჯახო კინო-თეატრი საჩუქრად გადასცა თოჯინების სახალხო თეატრს. მოგონებებით წარსდგა დარბაზის წინაშე ქ-ნი ნანული ბილანიშვილი, რომელიც ღღესაც აქტიურად თანამშრომლობს დასელებთან და საგარეჯოს IV საჯარო სკოლაში პედაგოგობასთან ერთად აგრძელებს თავის შემოქმედებით საქმიანობას ამ კუთხით.

დარბაზში თავისებური, ლამაზი სიხარულის მუხტი შეიტანეს თეატრის დასელებმა თავიანთი დახვეწილი მსახიობური ნიჭითა და მონდომებით – მათ აიყოლიეს პატარები, აქტიურად ჩართეს სპექტაკლებიდან გათამაშებულ სცენებში და ხუთკუნჭულას ისე გულშემატკივრობდნენ, თითქოს თვითონაც სპექტაკლის მონაწილენი იყვნენ, შეიცოდეს თაგვი – შიმშილა, უგულშემატკივრეს მგლისგან მოტყუებულ ციყვს, იმოგზაურეს ჰიპოპოტამის მაძებარ ჰიპოპოტამსა და ლომის ბოკვერთან ერთად, გაკვეთილზე გამოფხიზლებას შეეცადნენ ძილისგუდა ფისუნიასი, სიცილი დააყარეს თავისი კუდის სილამაზით გაამაყებულ ფარშევანგ „შევანგს“, კმაყოფილები დარჩნენ კეთილი ექიმი დათუნიას პროფესიონალიზმით, დაესწრნენ სპილოს მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. ერთი სიტყვით, თოჯინებთან ერთად იზეიმეს 55 წლისთავი. მართლაც ულამაზესი იყო სცენა, სადაც თოჯინების თამაშს თავისებურ სილამაზეს მატებდა მხატვარ თამარ იორამაშვილის მიერ შესრულებული ნახატები, დეკორაციები, რაც მადლიერებით აღნიშნეს დასელებმა, სადამოს მონაწილეებმა, აქვე აღინიშნა ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების – ჯემალ და ვანო თოლომაშვილების პროფესიონალიზმი.

დარბაზში მყოფმა ქ-ნმა ეკა გოგელია-ბუზიაშვილმა გაიხსენა ის ლამაზი პერიოდი,რომელიც მას ადრინდელი თოჯინების წრის წევრებთან აკავშირებდა. გაიხსენა ისიც, თუ რა მკაცრი, პრინციპული, მომთხოვნი იყო წრის ხელმძღვანელი ბ-ნი ილია ბუზიაშვილი, რომელმაც თავის საკუთარ შვილსაც არ აპატია ერთხელ სპექტაკლის გაცდენა და ისე „მწარედ“ დასაჯა, დღესაც ახსოვს ქ-ნ ეკას. ასევე, მან გაიხსენა ის წარმატებული სპექტაკლები, რომელთა ჩვენებამ უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩინა თოჯინების წრეს.

მოხიბლული და კმაყოფილი მაყურებელი დიდხანს არ ტოვებდა დარბაზს. იყო აზრის ურთიერთგაზიარება, სიხარული, კვლავაც დიდი ინტერესი თოჯინების, დეკორაციების მიმართ. ძველმა და ახალმა მეთოჯინე მსახიობებმა სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს. დღევანდელ დასელებს უახლოეს ხანში შეხვედრა მოუწევთ ჩვენი მუნიციპალიტეტის პატარებთან – მათ წინაშე ისინი დიდი ხალისითა და სიხარულით წარსდგებიან.

*თინა ილაური*

## ბილოცკა

**ჩემს შვილიშვილს – გიორგი ივანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს**

***

როკავენ ფოთლები
მწვანე.
მოდის ნიაღვარი
წვიმის
შაშვები შეყუჟულან
ტოტებში
და მათრობელა გალობა
ისმის!
დედის სხეულში პატარა
ჩვილი
მოსავლინებლად იბრძვის,
სადღაც შორიდან
დამათრობელი
საგალობელი ისმის!
გკოცნი, მიყვარხარ, ბაბუკა

**ჩემს შვილიშვილს – ლუკა ლომთათიძეს ვულოცავ დაბადების დღეს!**

***

სამოთხესავით მზიანი
გექნება სახლი,
ლაღი, ჭერამდე
წიგნებით სავსე!
და იქ, ოთახში
შენს მაგიდაზე
ჩემი პატარა
წიგნი,
ჩაეხუტება ზღვას
როგორც წვეთი!
მოგაგონდება შენი
ნათია.
ის, სიკვდილამდე
წიგნებით ხელში!

*ნათელა ჭანტურია*

**განცხადება**

იყიდება სახლი საგარეჯოში, მისამართი: კახეთის ქ. №99, ორსართულიანი, 2800მ² ფართობით. მსურველები დამიკავშირდნენ: 790 49 02 67. აკაკი კერატიშვილი
559 15 86 33 – მაია

ძაგული და მანანა მათიაშვილები ოჯახით იუწყებიან
**მიხეილ არჩვაძის**
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## სპორტი

# მეხუთე თანრიგის ნორმატივები შეასრულეს

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის დადგენილებით ყოველი თანრიგისათვის მკაცრადაა განსაზღვრული ნორმატივები. მეხუთე თანრიგისათვის ეს ნორმატივი შვიდი ტურიდან 4,5 ქულაა. ამ თანრიგის ნორმატივის შესასრულებლად 19-20 ნოემბერს საგარეჯოში ჩატარდა საკვალიფიკაციო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს I, II, შპს „თამარ გარეჯელის“, ნინოწმინდისა და ჩაილურის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, სულ 32 დამწყებმა მოჭადრაკემ. აქედან ყველაზე მეტი მონაწილე ტურნირზე ნინოწმინდის საჯარო სკოლამ წარმოადგინა.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით, შვიდ ტურად ჩატარდა. ექვსი ქულით შვიდი შესაძლებლობიდან ტურნირის ჩემპიონი საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის პირველკლასელი ლევან დალბაშვილი გახდა. ხუთნახევარი ქულით მეორე ადგილზე გავიდა საგარეჯოს II საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლე ირაკლი მატიაშვილი. ტურნირზე 5-5 ქულა მოაგროვეს ნინოწმინდელმა მოსწავლეებმა: გიორგი ამირანაშვილმა, ნანუკა სამხთუაშვილმა, ნიკა ოკინაშვილმა (მწვრთნელ-მასწავლებელი ელენე ფარეშიშვილი), თაზო გოდერძიშვილმა (შპს „თამარ გარეჯელის“ სკოლა), მარი მამუკაშვილმა (ჩაილურის საჯარო სკოლა) – მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე.

უკეთესი პროგრესით მესამე ადგილი დაიკავა ნინოწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლე ნიკა ოკინაშვილმა. ამ შედეგით ყველა ზემოჩამოთვლილმა მოსწავლემ შეასრულა მეხუთე თანრიგის ნორმატივი. ამ თანრიგის ნორმა 4.5 ქულით ასევე შეასრულა ვაჟა დეკანოზიშვილმა.

ტურნირის დასასრულს საპრიზო ადგილებზე გასული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი მედლებითა და დიპლომებით. საკვალიფიკაციო ტურნირი პირველად ჩატარდა მუნიციპალიტეტში და ბავშვებისა და მათი მშობლების დიდი მოწონება დაიმსახურა. ისინი დიდ მადლობას უხდიან მუნიციპალიტეტის გამგეობასა და გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსს ბ-ნ ძაგული მათიაშვილს ტურნირის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისა და აქტიური მხარდაჭერისათვის.

*გივი დაბახიშვილი*

# პატარა ფალავნები დიდ დარბაზში

საგარეჯოს დაცვის პოლიციის სპორტული დარბაზი ორი დიდი საუკუნის გზაგასაყარზე, 2000-2001 წლებში აშენდა. მისი თავდაპირველი დანიშნულება, ამ სამსახურის მუშაკების სპორტული წვრთნა და კრივის დაუფლება გახლდათ, რაც სხვადასხვა მიზეზებით ვერ განხორციელდა. სამაგიეროდ, 2005 წლიდან აქ საგარეჯოს სპორტული სკოლის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა დაიდეს ბინა მწვრთნელ რამაზ ასაბაშვილის ხელმძღვანელობით, რომელსაც ერთ პერიოდში დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ თავისი აღსაზრდელებისათვის ვარჯიშის ნებართვა მოეპოვებინა. საბოლოოდ, რაიონის ხელმძღვანელობის საქმეში ჩარევითა და დახმარებით, საქმე პატარა მოჭიდავეების სასარგებლოდ გადაწყდა და მას შემდეგ აქ მათი ვარჯიში აღარ შეწყვეტილა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და მწვრთნელის ამაგი პირველმა „ტარზანამ“ – ვასილ მამულაშვილმა დააფასა, გახდა ჭაბუკებში ჯერ საქართველოს ჩემპიონი, შემდეგ კი ალბანეთში ევროპის პირველობის III პრიზიორობა იზეიმა. ამ ტიტულებს მან შემდგომში ახალგაზრდებში საქართველოს პრიზიორისა და ბაქოსა და ირანის ტურნირების ჩემპიონის წოდებებიც „მიუმატა“ და მას შემდგომ საქართველოს ნაკრებშია აყვანილი.

ამავე წლებში რამდენჯერმე გახდა საქართველოს პრიზიორი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში რ. ასაბაშვილის მეორე შეგირდი თორნიკე როსტიაშვილი.

ამ სპორტული დარბაზის კედლებში რამაზ ასაბაშვილის ხელმძღვანელობით აღიზარდა და დაოსტატდა თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს უძლიერესი ფალავანი, ახალგაზრდებში საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო პირველობების ჩემპიონი, დიდებში ევროპისა და მსოფლიო ტურნირების წლევანდელი მესამე პრიზიორი, ლონდონის მომავალი ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მფლობელი დავით ხუციშვილი.

ამავე საჭიდაო ხალიჩაზე აიდგეს ფეხი საქართველოს ჩემპიონებმა ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში გიორგი პასიკაშვილმა, ლევან და ბექა როჭიკაშვილებმა, ბექა პეტრიაშვილმა, სხვადასხვა ტურნირების გამარჯვებულმა ბევრმა პატარა ფალავანმა, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ თავისუფალი სტილის გარეჯული სკოლის ტრადიციებს, რომელსაც ჩვენმა ლეგენდარულმა ფალავნებმა: არსენ მეკოკიშვილმა, ლევან თედიაშვილმა და სხვა არაერთმა ღირსეულმა მოჭიდავემ ჩაუყარა საფუძველი.

საქართველოს ჩემპიონები: ბექა როჭიკაშვილი (მარცხნივ) და გიორგი პასიკაშვილი. „გარეჯის მაცნეს“ ფოტომ

საგარეჯოს დაცვის პოლიციის სპორტულ დარბაზში პატარა ფალავნების წვრთნა და დაოსტატება წარმატებით გრძელდება. სადღეისოდ ამ საქმეს სპორეტსკოლის ორი მწვრთნელი, რამაზ ასაბაშვილი და მისი აღზრდილი დავით ბაბუნიძე ემსახურებიან. შესაბამისად, აქ მოჭიდავეთა ორი წრეა – დიდების და პატარების. დიდების წვრთნას ბ-ნი რამაზი უძღვება, პატარების ჯგუფს (1999-დან 2003 წლამდე ასაკის) კი მისი „ნამოწაფარი“ ავარჯიშებს. საამისოდ მათ აქ თითქმის ყველა პირობა აქვთ შექმნილი. მართალია დარბაზის გათბობა შეშის ღუმელით უხდებათ, მაგრამ სპორტული ინვენტარის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიან. აქვთ ორი ასასვლელი ბაგირი, საწელი რეზინები, ორძელები, ჩუჩელები. ანუ ყველაფერი, რაც ვარჯიშისთვის სჭირდებათ. ამას მიუმატეთ მათი მწვრთნელების ყურადღება, პატარების მიმართ გამოჩენილი გულისხმიერება და გასაგები გახდება, თუ რატომ მოუხარიათ აქ ყოველდღე პატარა ფალავნებს. ამ დღეებში კი მუნიციპალიტეტის გამგეობის დახმარებით, სპორტსკოლამ აქ საშხაპის ამოქმედებაც შეძლო, სადაც ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ ცხელი წყლის გადავლება შეეძლებათ.

როგორც ჩვენთან საუბარში მწვრთნელებმა აღნიშნეს, ბავშვების ვარჯიში აქ კვირაში 5-6 დღეს გრძელდება (სკოლაში მეცადინეობის შემდეგ), ხოლო მნიშვნელოვანი შეჯიბრებების დროს ზოგჯერ დღეში ორჯერაც ატარებენ მეცადინეობებს. ჩემი ამ დარბაზში სტუმრობა სწორედ ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებისათვის მზადების პროცესს დაემთხვა. 10-11 დეკემბერს საგარეჯოში ტარდება ჩვენი სახელგანთქმული ფალავნის, ტარიელ როსტომაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც აქ აღზრდილი მოჭიდავეებიც იასპარეზებენ. ამიტომ, აქ მისულს პატარა ფალავნები საჭიდაო ლეიბზე „გახურებული“ დამიხვდნენ – მწვრთნელების ხელმძღვანელობით ამუშავებდნენ სხვადასხვა ილეთებს. ტარიელ როსტომაშვილის ტურნირზე ბევრ გამოცდილ მოჭიდავესა და მონაწილეს ელოდებიან და უნდათ ღირსეული მეტოქეობა გაუწიონ მოწინააღმდეგეებს, ისე, რომ არ შეარცხინონ არც აღმზრდელები და რა თქმა უნდა, გამარჯვებულის კვარცხლბეკზეც ამაღლდნენ. ღმერთმა ხელი მოუმართოთ ამ ჩანაფიქრის და სამომავლო გეგმების განხორციელებაში.

## მსოფლიო ჩემპიონატისგან მეოცნებე

ამ ამბიციის მქონე პატარა მოჭადრაკე, საგარეჯოს I საჯარო სკოლის პირველკლასელი ლევან დალბაშვილი გახლავთ. მართალია იგი ჯერ სულ ექვსი წლისაა და დიდი ხანი სულაც არაა, რაც ბრძენთა თამაშის საიდუმლოებებს ეზიარა, მაგრამ პირველი წარმატება უკვე იზეიმა. 19-20 ნოემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა შორის V თანრიგისათვის ჭადრაკში გამართულ საკვალიფიკაციო ტურნირზე არა მარტო ამ თანრიგის ნორმატივი შეასრულა, არამედ შვიდი შესაძლებლობიდან ექვსი ქულა დააგროვა და ტურნირის 32 მონაწილეს შორის ერთპიროვნული ლიდერობა იზეიმა. ამისთვის პატარა საგარეჯოელი მოჭადრაკე ოქროს სინჯის მედლითა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბ-ნ გია ჩალათაშვილის ხელმოწერილი პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა, რაც მისი ასაკის ბავშვისთვის სულაც არაა პატარა მიღწევა.

ლევანის ეს წარმატება რედაქციაში მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძისაგან შევიტყვეთ, ჩვენთან სასაუბროდ კი გაკვეთილების შემდეგ დედამისმა ქნმა მარინამ მოიყვანა.

ლევანისათვის ჭადრაკის თამაში და სვლები მამას – ვალერი დალბაშვილს უსწავლებია, სერიოზული მეცადინეობისთვის კი ხელი ამ 6-7 თვის წინ მოუკიდია მწვრთნელ-მასწავლებლის ელენე ფარეშიშვილის ხელმძღვანელობით. როგორც თვითონ ლევანმა გვითხრა, მას ძალიან მოსწონს და უყვარს ჭადრაკის თამაში და თავისი ამ გატაცების სერიოზულობა დაამტკიცა კიდეც.

მოჭადრაკეობასა და მსოფლიოს ჩემპიონობაზე მეოცნებე არც სწავლაში ჩამორჩება, ერთნაირი გამოცდილებით ეუფლება შესასწავლ საგნებს, ქართულ და ინგლისურ ენებს,იცის ბევრი ლექსი და ზღაპარი. ჭადრაკთან ერთად უყვარს ფეხბურთი და კალათბურთი, განსაკუთრებით კი აღმოსავლური ორთაბრძოლები მოსწონს, მიუხედავად ამისა, როგორც თვითონ გაგვიმხილა, ჭადრაკის გარდა სპორტის სხვა სახეობების გაყოლას არ აპირებს. თუმცა ჯერ ბოლომდე კარგად არ აქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს ეს, მაგრამ უნდა დიდი მოჭადრაკე და მსოფლიო ჩემპიონი გამოვიდეს.

ვნახოთ, როგორ აისრულებს ჩვენი პატარა მოწადრაკე ამ სურვილს; ჩვენ კი გზა დავულოცოთ მას მომავალი წარმატებებისაკენ.

*გვერდი მოამზადა:*
*გივი დაბახიშვილი*

## ავიაკონსტრუქტორისგან მეოცნებე

ეს მომავალი ავიაკონსტრუქტორი, საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლე ირაკლი მატიაშვილი გახლავთ. იგი საგარეჯოში ჭადრაკში ჩატარებული V თანრიგის საკვალიფიკაციო ტურნირზე გავიცანი, სადაც მან ამ თანრიგის ნორმატივის შესრულებასთან ერთად 5.5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა.

მაშინ 5 წლის იყო ირაკლი, როცა დედამ ნინო ტეტიაშვილმა ჭადრაკის თამაში ასწავლა, ამ ერთი წლის წინ კი მწვრთნელ-მასწავლებელ ელენე ფარეშიშვილთან დაიწყო მეცადინეობა და 8 წლის ასაკში უკვე V თანრიგოსანი მოჭადრაკე გახდა. „ბრძენთა თამაშით“ გატაცებასთან ერთად, პატარა მოჭადრაკეს ერთი დიდი და უჩვეულო მისწრაფება აქვს – სკოლას რომ დაამთავრებს, უნდა ავიაკონსტრუქტორი გამოვიდეს. რატომ? სურს ისეთი საფრენი აპარატი შექმნას, რომ მთელ დედამიწას უფრენდეს თავზე და ზემოდან ხედავდეს, თუ რა ხდება ადამიანის გარემომცველ სამყაროში. ჩვენს თანამედროვე ეპოქაში, როცა ადამიანის გონი და შესაძლებლობები გალაქტიკებს გასცდა, მოულოდნელი და გასაკვირი არაფერია და ვნახოთ, იქნებ ჩვენმა პატარა თანამემამულემაც აისრულოს თავისი ბავშვური ოცნება.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488